სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების სკოლამდელი და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობაზე

მარიამ გოგოლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კორძაია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გოგოლაძე

თარიღი:

ხემოწერა:

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია შეისწავლოს და გამოავლინოს ის ძირითადი საკითხები/ბარიერები, რომელიც აბრკოლებს შშმ პირების განათლების უფლების რეალიზებას, კერძოდ სკოლამდელი და ზოგადი განათლების საფეხურზე.

ხსენებული ამოცანის შესასრულებლად, ნაშრომში განხილულია ისეთი ძირითადი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ძირეული ცვლილებები განხორციელდა შშმ პირთა ფუნდამენტური უფლებების რეალიზების, მათ შორის განათლების უფლების მისაწვდომობის კუთხით, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის დონეზე.

ნაშრომში განხილულია შშმ პირთა აღქმის როგორც სამედიცინო, ისე სოციალური მოდელი. ხსენებული მოდელების ანალიზი აუცილებელია იმ მიზნით, რომ შეფასდეს თითოეულის მიერ დამკვიდრებული მიდგომა შშმ პირთა უფლებების აღიარების/რეალიზების კუთხით.

ნაშრომში წარმოდგენილია, გაეროს ორგანიზების მიერ ჩატარებული რამდენიმე კვლევა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ შშმ პირთა კონვენციით აღებული ვალდებულების შესრულების საკითხი, ასევე დოკუმენტში წარმოდგენილი სახალხო დამცველის შეფასებითი ანალიზის საფუძველზე, წარმოჩენილია კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ნაშრომის შემდეგი ნაწილი ეთმობა ევროპული ქვეყნების შემთხვევათა ანალიზსს. კერძოდ, განხილულია ევროპული ქვეყნების-ხორვატიისა და შვედეთის მაგალითი, რომლებიც ამკვიდრებენ შეფასების სოციალურ და სამედიცინო მოდელს. წინამდებარე ქვეყნების ანალიზი, მოიცავს განათლების სფეროში არსებულ მიდგომებს.

ნაშრომის კვლევითი ნაწილი ეთმობა საქართველოს სხვადასხვა უწყებებიდან მოწოდებული ინფორმაციის რაოდენობრივ ანალიზსს შშმ პირთა სტატისტიკური სურათის შესაქმელად. ასევე კვლევით ნაწილში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი-კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუ, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელებთან.

ასევე ზოგადი განათლების ნაწილში დეტალურადაა გაანალიზებული „განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან“ მოწოდებული ინფორმაცია საჯარო სკოლებში შშმ პირთა ჩართულობის, ადაპტირების შესახებ.

დასკვნითი ნაწილი ეთმობა ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების შეჯამებასა და ანალიზსს, რომლის საფუძველზეც წარმოდგენილია სარეკომენდაციო მიმართვები.

საძიებო სიტყვები: შშმ პირების ადაპტირება; მისაწვდომობა; ჩართულობა; ბარიერები/გამოწვევები; განათლების უფლება.

Abstract

The main goal of this work is to identify the main factors that prevent people with disabilities from realizing their right to education, namely at the preschool and general education levels. Accordingly, the main task of the paper is to study and identify the main barriers/challenges that hinder the quality of access to education of persons with disabilities in public preschool and general educational institutions.

The paper discusses such basic documents, on the basis of which fundamental changes were made in terms of realization of the fundamental rights of persons with disabilities, including access to the right to education, both at the level of national and international legislation.

For the general analysis of the issue, the paper presents an explanation of the medical and social model of assessment of disabled people, its main features. The analysis of the mentioned models is important from the point of view of revealing the existing gap between the medical model of assessment in Georgia and the Convention on the Rights of Persons with Disabilities, which clearly indicates the failure of the obligation assumed by the state.

The paper presents several studies regarding the fulfillment of obligations under the Convention on Persons with Disabilities, as well as an evaluation analysis of the Public Defender regarding the changes made since the ratification of the Convention.

The next part of the work is devoted to the case analysis of European countries. Those successful European countries that establish a social model of assessment are discussed - Sweden, Poland, as well as developing countries of the medical model, on the example of Georgia and Croatia. The present country analysis also includes approaches in the field of education. Accordingly, in the mentioned part, a comparative method is used, on the basis of which the mentioned countries are compared to each other.

The research part of the paper is devoted to the quantitative analysis of the information provided by different agencies of Georgia in order to create a statistical picture of disabled people. Also, in the research part, a qualitative research method is used - in particular, an in-depth interview with the heads of the union of nurseries of the administrative centers of almost

all corners of Georgia. Also, in the section of general education, the information provided by the "Ministry of Education, Science and Youth" about the inclusion and adaptation of disabled people is analyzed in detail. In-depth interviews were also conducted with resource centers of several municipalities.

The final part includes a summary and analysis of the issues presented in the paper, based on which recommendations are presented.

Key words: adaptation of disabled people; accessibility; engagement; barriers/challenges; The right to education.